ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №1791655

ნომერი: AR1293500

თარიღი : 13.03.2015

გაცემის თარიღი : 19.03.2015

გაცნობის თარიღი : 19.03.2015

შედეგი : შუალედური.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ქუჩა ნინოშვილი , N 8 ;

დამკვეთი-განმცხადებელი
- ივანე მაჭავარიანი პ/ნ 01008019581
- თბილისი, ნინოშვილის ქ. #8

ორგანიზაცია:
- ნინო კოდი: 202886127

ნომენკლატურა :

- I კლასი
- შენობა-ნაგებობის ფასადზე მცირე ზომის არქიტექტურული ელემენტების, კონსტრუქციების და ტექნიკური საშუალებების მოწყობა ან დემონტაჟი

  რეკონსტრუქცია
- შენობა-ნაგებობის ფასადისა და სახურავის სარემონტო და მოპირკეთებითი სამუშაოები, როცა ხდება ფერის ან მასალის ცვლილება

  რეკონსტრუქცია

"საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" მე-5, 51-ე, 52-ე, 83-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, "კულტურული მემკვიდრეობის შესახებ" საქართველოს კანონის, "მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების, "ქალაქ თბილისის ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის საკრებულოს 2009 წლის 27 მარტის #4-13 გადაწყვეტილების თანახმად

გადაწყვეტილება

სამსახურმა განიხილა თქვენი საკითხი, რომელიც ეხება ქ. თბილისში, ნინოშვილის ქ. N8–ში არსებული შენობის სარეკონსტრუქციო სამუშაოებს.

გაცნობებთ, რომ არსებული მინაშენის სადემონტაჟო სამუშაოები თავისი მახასიათებლებით არ განეკუთვნება I კლასის სამუშაოებს, რის განხორციელებაზეც სამსახური გასცემს წერილობით თანხმობას, და საჭიროებს არსებული შენობის რეკონსტრუქციის პროექტის შეთანხმებასა და მშენებლობის ნებართვის გაცემას.

იმისათვის, რომ სამსახურს მიეცეს პროექტის შეთანხმებისა და მშენებლობის ნებართვის გაცემის საკითხზე მსჯელობის შესაძლებლობა, საჭიროა დაარეგისტრიროთ შესაბამისი განაცხადი და ატვირთოთ სრულყოფილი საპროექტო დოკუმენტაცია.

ამასთან, სამსახურს მიეცემა ფასადის I კლასის რეკონსტრუციაზე (არსებულ გაბარიტებში, დემონტაჟის გარეშე) საკითხზე მსჯელობის შესაძლებლობა შესაბამისი დოკუმენტაციის ატვირთვის შემთხვევაში.

- დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიის ცხელ ხაზზე - 2722222, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე#4.

- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.